ოქმი:ო135. 13525034001
თარიღი:03/02/2025

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი №-1

დ. მესტია 31.01. 2024წ

<u>სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:</u> მ. ჯაფარიძე, ზ. ჩართოლანი, ბ. ნაკანი, ბ. კვიციანი, გ. დადვანი, დ. გვიჩიანი, დ. ჯაფარიძე, ვ. ჭკადუა, ზ. ფალიანი, თ. დადეშქელიანი, ი. გირგვლიანი, ი. რატიანი, ლ. ჩარკვიანი, მ. ხორგუანი, შ. ცინდელიანი, შ. რატიანი, მ.რატიანი, ლ. ქალდანი. შ. გულედანი, რ. გვარმიანი, კ. გუჯეჯიანი.

<u>სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ:</u> მ .გელოვანი.

<u>სხდომას არ ესწრებოდნენ:</u> ა. რატიანი. გ. გიგლემიანი, გ. გელოვანი, ზ. ხარძიანი, ზ. ჯაფარიძე, ვ, ფილფანი. ლ. პაკელიანი, ლ. პირველი, მ. პაკელიანი, მ. გოშუანი.

<u>სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:</u> **,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მ.** ნაკანი; ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და მუნიციპალური ინსპექციის სამსახურის განყოფილების უფროსი ნ. მაღედანი; მესტიის მუნიციპალიტეტის შესყიდვების სამსახურის უფროსი მ. ნაკანი.

<u>სხდომას თავმჯდომარეობდა</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მ. ჯაფარიძე.

<u>სხდომის მდივანი:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საოქმო განყოფილების მთ. სპეციალისტი მ. ნიგურიანი.

სხდომის დაწყებამდე საკრებულოს წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, სხდომას ესწრება საკრებულოს 33 წევრიდან 21 წევრი.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი

დღის წესრიგი:

1. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდული სამსახურის ანგარიში 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ“.

/მომხსენებელი: მ.ნაკანი; თანამომხსენებელი: მ.ხორგუანი./

2. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე”მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის N 24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

/მომხსენებელი: შ. ცინდელიანი./

3. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და მუნიციპალური ინსპექციის სამსახურის ანგარიში 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ”

/მომხსენებელი: ი. გერლიანი. თანამომხსენებელი: ზ.ფალიანი./

4. „მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვების, დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებისა და გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 დეკემბრის №41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”.

/მომხსენებელი: ი. გერლიანი. თანამომხსენებელი: ბ. ნაკანი/

5 ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურის ანგარიში 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ“.

/მომხსენებელი: მ. ნაკანი. თანამომხსენებელი: ბ. ნაკანი./

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ეყაროს კენჭი ,,მესტიის **მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 31 იანვრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“**. წარმოდგენილი რედაქციით.

მომხრე----------21

წინააღმდეგი------0

თავი შეიკავა-------0

კენჭისყრის შედეგად საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

საკრებულომ დაადგინა: მიიღონ განკარგულება `მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 31 იანვრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება № გ-135. 135250311 **თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა მ. ნაკანმა ,,განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდული სამსახურის ანგარიში 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ“.

მომხსენებელმა სამსახურის ანგარიში წარმოადგინა პოვერპოინტის ფორმით.

2024 წლის სამსახურის წლიური ბიუჯეტი შეადგენს 284,117 ლარს.
ათვისებული იქნა 276 277.75 ლარი. ისაუბრა ჩატარებულ ღონისძიებებზე და ამ ღონისძიებებზე დახარჯულ თანხებზე. მუნიციპალიტეტს დიდი წვლილი შეაქვს ახალგაზრდების სწავლა-განვითარებაზე, პირველკურსელების დაფინანსების გარდა დაფინანსდა წარჩინებული სტუდენტებიც. ბიუჯეტიდან დაფინანსდა ქვეყნის გარეთ სასწავლოდ წასული სტუდენტების მგზავრობის ღირებულება. ისაუბრა ნაბეჭდი წიგნების შესყიდვაზე. შესყიდულ იქნა 25 ერთული წიგნი-"სვანეთის ისტორია" და 25 ერთეული წიგნი - „თამარ მეფე" (გ.ჭელიძის ავტორობით); შესყიდულ იქნა 200 ცალი წიგნი-,,ქართული ცივილიზაციის ფესვები" ა. ზუმაძის ავტორობით. ჩატარდა გემო ფესტი- ღონისძიების ორგანიზებაზე დაიხარჯა 50 000 ლარი. 21 მარტს, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიამ, ორგანიზაცია „ერთად რეალური ცვლილებებისათვის" ადმინისტრირებაში მყოფი კახა ფალიანის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრი -ს ბენეფიციარებს საჩუქრები გადასცა. მესტიის მუნიციპალიტეტში არსებული ქორეოგრაფიულ ანსამბლ "ბანგურიანისათვის„ შეიძინა საცეკვაო ფორმები 9840ლარის ღირებულების. მომხსენებელმა უპასუხა საკრებულოს მიერ დასმულ შეკითხვებს და ვრცლად ისაუბრა სამსახურის მიერ ჩატარებული საქმიანობის შესახებ. (ანგარიში თან ახლავს).

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: გ. დადვანი--იკითხა გემო-ფესტის ღონისძიების ჩატარებაზე.

ლ. კიკვიძე--დაგეგმილია მარტის თვეში ღონისძიების ჩატარება.

მ. ხორგუანი-- კომისიამ განიხილა პროექტი, ყველა კითხვაზე მიიღო პასუხი მომხსენებლის მიერ, კომისიის მიერ შეფასდა დადებითად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------21
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინდა, მიღებული იქნას განკარგულება ,,განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდული სამსახურის ანგარიში 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ".

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება № -:გ-135. 135250312 **თან ერთვის)**
მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ს. კვიციანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე"მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის N 24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

მომხსენებელმა გააცნო კანონში შესული ცვლილებები, ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში 2024 წლის 13 დეკემბერს შესული ცვლილებებიდან გამომდინარე, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის და მისი მოადგილის სამართლებრივი სტატუსი შეიცვალა და გარდაიქმნენ ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებად. საკრებულოში შეეხო აპარატის ხელმძღვანელს და შევიდა ცვლილება საკრებულოს თანამდებობრივ პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების

რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრაშიც.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა:

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------21
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----
კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე"მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის N 24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

დადენილება მიღებულ იქნა

(დადგენილება № -2 თან ერთვის)
მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხზე მოხსენება გააკეთა ნ. მაღედანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და მუნიციპალური ინსპექციის სამსახურის ანგარიში 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ"

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და მუნიციპალური ინსპექციის სამსახურის თავის საქმიანობას ახორციელებს მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 იანვარის დადგენილება №3-ისა და სამსახურისათვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. სამსახური შედგება სამსახურის უფროსის, სამი განყოფილებისა და ხუთი სპეციალისტისგან.

ა) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განყოფილება;

ბ) გარემოსდაცვითი, ვეტერინარული და კომუნალური კეთილმოწყობის ზედამხედველობის განყოფილება;

გ) მუნიციპალური ინსპექციის განყოფილება.

ისაუბრა სამსახურში შემოსულ განცხადებებზე, შემოსულია 403 მოქალაქის განცხადება, მიმდინარე წლის განცხადებებიდან დაკმაყოფილებულია 141 მოქალაქე, ხოლო 2023 წლის განცხადებებიდან დაკმაყოფილებულია 77 მოქალაქე. განხილვის პროცესშია 195 განცხადება. უარი ეთქვა 24 მოქალაქეს, დოკუმენტების არასრული შემადგენლობის გამო. ისაუბრა სოფლის პროგრამით შესრულებულ სამუშაოებზე, რიგ სოფლებში გააერთიანეს რამოდენიმე წლის თანხები და მოხმარდა ელექტრო სადგურების რეაბილიტაცია-განახლებას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: მ. ჯაფარიძემ --იკითხა სოფლის პროგრამით რამდენი პროცენტია შესრულებული სამუშაოები?

ნ. მაღედანი-- სოფლის პროგრამების 93%-ია შესრულებული.

რ. გვარმიანმა--გადახურვის მასალის განაწილებას შეეხო, ვერ ახერხებენ შორს მცხოვრები მოსახლეობა დროულად ამოსვლას და განცხადების შეტანას. რამე მექანიზმი რომ შემუშავდეს და გამონაკლისის სახით დავეხმაროთ შორს მცხოვრებ მოსახლეობას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------20
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----
კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და მუნიციპალური ინსპექციის სამსახურის ანგარიში 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ"

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება № -:g-135. 135250314 **თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხზე მოხსენება გააკეთა ნ. მარედანმა „მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვების, დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებისა და გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 დეკემბრის №41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი საქართველოს კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" შესაბამისად, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში განსაზღვრავს დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობას კანონით დადგენილი ზღვრული ოდენობის ფარგლებში. ადგილობრივი მოსაკრებელი არის აუცილებელი გადასახდელი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში,რომელსაც ფიზიკური და იურიდიული პირები იხდიან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ განსაზღვრული ვადით ან უამისოდ,კანონით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების ან/და სარგებლობის უფლების მინიჭებისათვის,აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გარკვეული მომსახურების გაწევისათვის. დამსწრე საზოგადოებას გააცნო ცვლილებები,
კერძოდ: სამშენებლო ნარჩენებზე მომსახურების ტარიფი განისაზღვროს გადაზიდული ნარჩენების რაოდენობით დაბის ტერიტორიაზე 1მ/კუბ.ნარჩენზე 30 ლარი, განთავსების გადასახადი 1მ/კუბ.ნარჩენზე -10 ლარი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: ზ. ჩართოლანი- იკითხა, რის საფუძველზე შევიდა ცვლილება და გაიზარდა მოსაკრებელი?

ნ. მაღედანი--დასუფთავების სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევის და მომატებული ნარჩენების საფუძველზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------20
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ---- მ. რატიანმა.
კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დგენილება, „მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვების, დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებისა და გადახდის წესის დამტკიცების

შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 დეკემბრის №41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”.

დადგენილება მიღებულ იქნა
(დადგენილება № - 1თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხზე მოხსენება გააკეთა მ . ნაკანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურის ანგარიში 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ“.

ისაუბრა სამსახურის ფუნქციებზე და უფლება-მოვალეობებზე. შესყიდვების სამსახურის მიზანია ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვა და საჯაროობის უზრუნველყოფა. შესყიდვების სამსახური უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების გეგმების შესყიდვების საიტზე ატვირთვას, რის საფუძველზეც ახორციელებს თითოეული შესასყიდი ობიექტის დეტალურ შესწავლას, ტექნიკური მახასიათებლების მოძიებას შესაბამისი სამსახურებიდან, რის შემდეგაც უზრუნველყოფს ბაზრის კვლევას სატენდერო ფასის დადგენის მიზნით და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებას.

შესყიდვების სამსახურმა 2024 წელს უზრუნველყო 39 ტენდერის გამოცხადება, აქედან დადებითი შედეგით დასრულდა და ხელშეკრულება გაფორმდა 37 ტენდერზე. 1 ტენდერი არ შედგა, 1 ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით და არც ერთი ტენდერი არ შეწყვეტილა .

გამოცხადებული ტენდერების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 38 209 354 ლარს, აქიდან ხელშეკრულებები დაიდო 38 050 144 ლარზე , ეკონომიამ შეადგინა 159 210 ლარს. ყოველივე ინფორმაცია განთავსებულია სახელმწიფო შესყიდვების საიტზე, რაც უზრუნველყოფს მის საჯაროობას და გამჭვირვალობას. (ანგარიში ოქმს თან ახლავს).

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა:

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------21
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----
კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურის ანგარიში 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება № - გ-135. 135250313 **თან ერთვის)**

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი განხილული იქნა.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი